პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 22 (263) | გამოცემის მერვე წელი | პარასკევი, 2 ოქტომბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.



პეკინი. ტიანანმინის მოედანი. მარცხნივ, პირველ პლანზე — სახალხო გმირთა ძეგლი.

## ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ამხანაგ ლიუ შაო-ცის

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ჩჟუ დეს

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ამხანაგ ჩჟოუ ენ-ლაის

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თქვენ და მთელ მოძმე ჩინელ ხალხს გითვლით მხურვალე სალამსა და გულითად მოლოცვას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელოვანი ათი წლისთავის გამო.

ჩინეთის ხალხთა ეროვნული დღესასწაული სასიხარულო დღეა საბჭოთა ადამიანებისთვისაც. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში; ამ რევოლუციამ ახალი მძლავრი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმისა და რეაქციის ბანაკს, უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. სამუდამოდ რომ მოუღო ბოლო ძველ ძირგამომპალ წყობილებას, დიდმა ჩინელმა ხალხმა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის მეთაურობით შექმნა მუშათა და გლეხთა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა და ჩინეთის შესვლა სოციალისტური ბანაკის ხალხთა ძმურ ოჯახში ძლევამოსილი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვების ახალი მკაფიო დადასტურებაა.

უდიდესმა სოციალურ-ეკონომიურმა გარდაქმნებმა, რომლებიც თქვენს ქვეყანაში მოხდა, უზრუნველყვეს ახალი, სოციალისტური ურთიერთობის გადამწყვეტი გამარჯვება, უსაზღვრო გასაქანი შეუქმნეს მწარმოებლური ძალებისა და ნამდვილად საყოველთაო-სახალხო შემოქმედების განვითარებას. შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ჩინელმა ხალხმა წარმატებით შეასრულა პირველი ხუთწლიანი გეგმა და თავდადებით იბრძვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, ტექნიკური და კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის. ახლა სახალხო ჩინეთი სწრაფად ხდება განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული სახელმწიფო. ეს ახარებს ჩინეთის მეგობრებს და შიშს გვრის მის მტრებს.

ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან მჭიდრო თანამეგობრობით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განამტკიცებს სოციალისტური ბანაკის ერთიანობასა და ძლიერებას, დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, მხარს უჭერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩაგრულ ხალხებს. საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო იზრდება და მტკიცდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, როგორც მსოფლიოს დიდი სახელმწიფოს, ავტორიტეტი.

თქვენთან ერთად, ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა ადამიანები ამაყობენ ჭეშმარიტად შესანიშნავი წარმატებებით, რომლებიც მოიპოვეს ჩინეთის მშრომელებმა განვლილი ათი წლის მანძილზე. საბჭოთა ხალხისათვის მახლობელი და გასაგებია რევოლუციური გაქანება და უშრეტი ენერგია ჩინელი ხალხისა, რომელიც ერთგულად ახმარს მთელ ძალღონეს თავისი მშვენიერი სამშობლოს აყვავებას.

საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ სახალხო რევოლუციის გამარჯვება და სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შესაძლებელი გახდა იმ ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით, რასაც ახორციელებს ჩინეთის კომუნისტური პარტია, მისი ნაცადი ცენტრალური კომიტეტი ჩინელი ხალხის დიდი შვილის ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერთგული ჩინეთის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად რაზმავს ჩინეთის მშრომელებს და გაბედულად მიუძღვის სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

საბჭოთა ხალხი და ჩინელი ხალხი დაკავშირებული არიან ურღვევი მარადიული მეგობრობით, რომელიც განმტკიცებულია საერთო კეთილშობილური მიზნებისათვის ერთობლივი ბრძოლით. ჩვენი ხალხების ურღვევი კავშირი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მსოფლიო ისტორიის განვითარებაში, ნიმუშია ახალი, ნამდვილად ძმური ურთიერთობისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპები. საბჭოთა ადამიანები კვლავაც ყველა საჭირო ღონისძიებას იხმარენ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყველა ხალხის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

სულითა და გულით ვუსურვებთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიასა და სახალხო მთავრობას, მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციასა და ყველა მშრომელს ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეათე წლისთავს!

გაუმარჯოს მოძმე ჩინელ ხალხს!

გაუმარჯოს ჩინეთის კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მთავრობას!

მარადგამარჯვებული და აყვავებული იყოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურღვევი მეგობრობა!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**

**ნ. ხრუშჩოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

**კ. ვოროშილოვი**

მოსკოვი, კრემლი, 1959 წლის 27 სექტემბერი.

# მტკიცეა, როგორც ფოლადი

1924 წლის 16 თებერვალს დიდი ჩინელი რევოლუციონერ-დემოკრატი სუნ იატ-სენი საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ჩიჩერინს წერდა: „იმედი გვაქვს თავის დროზე განვახორციელოთ ჩინეთში ის, რაც თქვენმა პარტიამ შეძლო განეხორციელებინა რუსეთში სახელმწიფოს ახალი კონცეფციისა და მართვის ახალი სისტემის შექმნის აზრითო“.

ეს სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა. 1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინელმა ხალხმა კუდით ქვა ასროლინა გომინდანელთა რეაქციულ ხროვას და სისხლით მოიპოვა თავისუფლება. უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაში პირველად ამოვიდა ბედნიერი ცხოვრების მზე. პეკინში, ტიანანმინის მოედანზე, ამაყად გაიშალა ხუთვარსკვლავიანი წითელი ალამი—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დროშა. ტიტანური ბრძოლა, რომელსაც ჩინელი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 28 წლის განმავლობაში სწარმოებდა, გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ახლა, როცა ჩინელი კაცი თავისი სამშობლოს წარსულს იგონებს, ეჩვენება, რომ კოშმარულ სიზმარს ხედავს. მონობა, ეროვნული და სოციალური ჩაგვრა,—აი რა იყო მაშინ მისი ხვედრი. ახლა კი ჩინეთის თვალუწვდენელ სივრცეებზე შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. დღეს ჩინელმა იცის, რომ თავისი სახელმწიფოსთვის, თავისი შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებისათვის შრომობს. 650 მილიონიანი ჩინელი ხალხი წარმატებით აშენებს სოციალიზმს. პირველი ხუთწლედის წლებში ჩინეთმა დიად გამარჯვებებს მიაღწია, დიდი ნახტომი გააკეთა სოციალიზმის გზაზე. მკვეთრად გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა. მომრავლდნენ განათლებული ადამიანები. განთავისუფლებამდე პეკინში სულ 14 000 სტუდენტი იყო, დღეს კი 110 000-ზე მეტი კაცი სწავლობს ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

განსაკუთრებით მძიმე იყო რევოლუციამდე ჩინელი ქალის ხვედრი. თუ ჩინელის სახლს სტუმარი მიადგებოდა და იკითხავდა, არის თუ არა ვინმე სახლშიო, ქალი პასუხობდა, არავინააო. ეს იმიტომ, რომ მას ადამიანად არ თვლიდნენ.

ჩინელი ქალი ჩამორჩენილი იყო, საკუთარი მეობის არმქონე, მამაკაცის მონა და მორჩილი. როცა სახალხო ხელისუფლებამ სოფლებში პირველი სანიტარული რაზმები გაგზავნა, მოხუცებმა გადამალეს თავიანთი ფეხმძიმე რძლები. ეს დამახასიათებელი ფაქტია.

ახლა კი ჩინელი ქალი ბნელეთიდან გამოვიდა, წელში გაიმართა, ახალი ცხოვრების აშენებისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა.

ჩინელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობაში უანგარო დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი.

რუს და ჩინელ ხალხებს ძველი დროიდანვე კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ეს ურთიერთობა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდან უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა.

ჯერ კიდევ ლუ სინი ლაპარაკობდა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის განუწყვეტელ ლიტერატურულ კავშირებზე. ახლა ეს კავშირიც გაფართოვდა. ჩვენში იწერება წიგნები ჩინეთზე, მისი ხალხის თავდადებულ ბრძოლაზე სოციალიზმის ასაშენებლად. ჩინელი მწერლები მხატვრულად განაზოგადებენ საბჭოთა ქვეყნის მიღწევებს და გამოცდილებას, პროპაგანდას უწევენ იმას, რაც ჩინეთისათვის სასარგებლოა. ყოველწლიურად ჩვენთან მრავალი ჩინური წიგნი ითარგმნება, ჩინეთში კი დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა მწერლებისა და მეცნიერების თხზულებანი.

ჩვენი ჩინელი მეგობრები ზეიმით აღნიშნავენ თავიანთ ქვეყანაში სახალხო ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავს. მათთან ერთად ზეიმობს ამ თარიღს, როგორც დიდ დღესასწაულს, საბჭოთა ხალხიც.

დაე, ყვაოდეს საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრობა, ვიდრე მზე მზეობს და გულს იცნობს გული!

## წრემ მუშაობა დაიწყო

პარტიული განათლების ქსელში ახალი, 1959—1960 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობასთან ჩამოყალიბდა სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრე. წრის მუშაობას ხელმძღვანელობს დოცენტი ალ. ბახტაძე. წრეში სულ 20 წევრია გაერთიანებული. გარდა კომუნისტებისა, სკკპ ისტორიის შესწავლის სურვილი გამოთქვეს უპარტიო ამხანაგებმაც.

1 ოქტომბერს ჩატარდა წრის პირველი მეცადინეობა თემაზე: „მუშათა მოძრაობის წარმოშობა და მარქსიზმის გავრცელება რუსეთში“ (1883—1894 წწ.). წრის წევრებმა საკითხისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს.

წრის მეცადინეობა ჩატარდება თვეში ორჯერ.

# ჭუნხუაჟენმინგუნხეგო

ჟუნხუაჟენმინგუნხეგო, ასე უწოდებენ დღეს ოფიციალურად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას თვით ჩინელები.

სხვადასხვა პერიოდში ჩინეთის სახელი სხვადასხვა იყო. ძველად მას უწოდებდნენ გაბატონებული დინასტიის სახელწოდების მიხედვით, მაგრამ ძველთაგანვე ოფიციალურ მიმართვებში ჩინეთი მოიხსენებოდა როგორც ჟ უ ნ გ ო, ე. ი. შუათანა იმპერია, ან ჟ უ ნ ხ უ ა—შუათანა ყვავილი. ამით ხაზი ჰქონდა გასმული იმ გარემოებას, თითქოს ჩინეთი მდებარეობს სამყაროს ცენტრში და თავისი სილამაზით ყვავილს წააგავს.

1911 წლის ჩინეთის რევოლუციის შემდეგ ჩინეთის ოფიციალური სახელი იყო ჟ უ ნ ხ უ ა მ ი ნ გ ო, ე. ი. შუათანა აყვავებული რესპუბლიკა.

რუსული სახელწოდება კ ი ტ ა ი ხმარებაშია XI საუკუნიდან და ნაწარმოებია „კიდან"-ების სახელწოდებიდან. კიდანები ტუნგუსური წარმოშობის მრავალრიცხოვანი ტომი იყო თანამედროვე შიდა მონღოლეთსა და მანჯურიაში.

ინგლისელები ჩინეთს უწოდებენ ჩ ა ი ნ ა ს, ფრანგები შ ი ნ ს, გერმანელები ხ ი ნ ა ს. ყველა ამის ფუძეა ც ი ნ-ძ ი ნ-ხ ი ნ-ჩ ი ნ, საიდანაც მიღებულია ქართული ჩ ი ნ ე თ ი. ეს სახელწოდება ჯერ კიდევ შოთა რუსთაველს აქვს მოხსენიებული თავის ვეფხის ტყაოსანში.

„ესე არაკი მართალი
ჩინს ქვასა ზედა სწერია,
ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია (სტროფი 854).

გარდა ამისა, ჩინეთს ძველი ქართველები ხატაეთსაც უწოდებდნენ, ცხადია, ამ შემთხვევაში ხ ა ტ ა ი-კ ი ტ ა ი ერთი ფუძიდანაა ნაწარმოები.

დოც. გრ. ზარდალიშვილი



# სამეცნიერო წრეებმა უკეთ უნდა იმუშაონ

იურიდიულ ფაკულტეტზე ამჟამად მუშაობს სამი სამეცნიერო წრე. სისხლის სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ (თავმჯდომარე ვ. გელუკაშვილი) გასულ წელს ძირითადად კარგად გაართვა თავი მუშაობას. წრე რეგულარულად ატარებდა სხდომებს და ისმენდა მის წევრთა მოხსენებებს. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ამ წრიდან საინტერესო მოხსენებები იქნა წარდგენილი. წრის ერთ-ერთმა წევრმა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაშიც მიიღო მონაწილეობა. მაგრამ დადებითთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ნაკლიც. წრის ხელმძღვანელობამ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოაწესრიგა ორგანიზაციული საკითხები. დროზე არ იწერებოდა ოქმები. წრის ზოგიერთი წევრი სისტემატურად აცდენდა სხდომებს. კათედრის ხელმძღვანელთა მხრივ შეიმჩნეოდა ყურადღების შესუსტება. ამჟამად არჩეულია წრის ახალი გამგეობა, რომლის ამოცანაა ნორმალურად წარმართოს მუშაობა.

სახელმწიფო სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში (თავმჯდომარე—ა. აბესაძე) გასულ წელს მოსმენილი იქნა 8 მოხსენება, რომელთაგან ზოგიერთმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. არ შეიძლება არ აღინიშნოს სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგის დოც. გ. ერემოვის დაუღალავი მუშაობა წრის სხდომების ნორმალურად წარმართვისა და მომხსენებელთათვის თემების მომზადებისას სათანადო დახმარების აღმოჩენის საქმეში.

სამოქალაქო სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ (თავმჯდომარე ა. კანდელაკი), მიუხედავად კათედრის სისტემატური დახმარებისა, კარგად ვერ იმუშავა. ზოგიერთი მოხსენება თავისი ხარისხით არ პასუხობდა სამეცნიერო წრის სხდომებზე გამოსატანი მოხსენებების დონეს. ცუდად იყო დაყენებული წრის წევრთა დასწრების საკითხი. წრის ახალი გამგეობა იღებს ზომებს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

ა. აბესაძე,
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.



სურათზე: ქიმიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები ლ. ქავთარია და ლ. ჯუღელი ლაბორატორიულ სამუშაოს აბარებენ დოც. კლარა გამსახურდიას.

## ანგარიშგება-არჩევნები კომკავშირულ ორგანიზაციებში

## საქმიანად წარიმართა

ამ დღეებში შედგა ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის კომკავშირული ორგანიზაციის კრება, რომელმაც მოისმინა კურსბიუროს მდივნის შ. დავითაშვილის მოხსენება გასულ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რაც ბიუროს გასული წლის მუშაობაში გაიჩნდა.

კამათში გამოვიდნენ: გ. ბაიდოშვილი, თ. ფუთურიძე, ნ. ქეცბაია, ვლ. მინაშვილი და სხვები.

კრებამ აირჩია ბიურო შვიდი კაცის შემადგენლობით, მდივნად ერთხმად დაასახელეს ვლ. მინაშვილი.

საქმიანად წარიმართა ბიუროს პირველი სხდომა. ჩვენი მიზანია უფრო მიმზიდველი და შინაარსიანი გავხადოთ კურსზე კომკავშირული საქმიანობა.

ირინე ღლონტი,
ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი.



სურათებზე: თიხის ნაკეთობათა ცნობილი პეკინელი ოსტატის, მეტსახელად „თიხის ჩანის" შვილიშვილმა ჩან ჩინქუმ გამოძერწა ეს პერსონაჟები ძველი სატრფიალო ამბისა „ქალიშვილი ჩიტ ვენი თავის ბეწვის ქურქს აკერებს" (ზემოთ).

ეს ნავი სიმბოლიურად 1958 წლის ნახტომს განასახიერებს. გამოთლილია სპილოს ძვლისაგან ოცზე მეტი გამოცდილი ოსტატის მიერ. მისი სიგრძეა 1 მეტრი და 55 სმ. სიმაღლე 78 სმ. წონა 133 კგ. ნავზე გამოსახულია სხვადასხვა ეროვნული წარმომადგენელი, რომლებიც თავიანთ ეროვნულ ცეკვას ასრულებენ.


# ფურცლები პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

(დასასრული*)

დიდ პოლონელ მწერალს ადამ მიცკევიჩს, იმყოფებოდა რა იგი ყირიმში, გადაწყვეტილი ჰქონდა ჩამოსულიყო საქართველოში. ყირიმში შექმნა მან თავისი განთქმული სონეტები, სადაც ქართულ სუჟეტსაც პოულობენ. კრიტიკულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთნაირი ბედი ხვდათ ნიკოლოზ ბარათაშვილს და ადამ მიცკევიჩს. ბარათაშვილი ქართულად გაეცნო მიცკევიჩის განთქმულ „ფარისს", რომელსაც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ქართულ საოჯახო სალონებში კითხულობდნენ სოლომონ გივის-ძე რაზმაძის თარგმანის სახით. საერთოდ, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილე ქართველები პოპულარიზატორები იყვნენ პოლონური ლიტერატურისა. გ. ერისთავმა თარგმნა მიცკევიჩის „აკერმანის ველი" და „პოტოცკის საფლავი", რომელშიაც ზოგი ცნობით ქართველი ქალი იგულისხმება. XIX საუკუნის ქართულ პრესაში იბეჭდებოდნენ პოლონელი მწერლები

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე აღტაცებით იხსენიებს „სახელოვანი მიცკევიჩის ყირიმის სონეტებს", უწოდებს მათ „უკეთეს ყვავილს პოეზიისა". ბევრი პოლონელი მეგობარი ჰყავდა ილიას. მან პოლონელ ივანე პოლტარაცკის მიუძღვნა განთქმული „აჩრდილი". „თავგადასავალში" აკაკი წერეთელი ამბობს: მე სხვა გმირთა შორის მომწონდა მიცკევიჩის ვალენროდიცაო.

ცალკე შესწავლის ღირსია პოლონელ მწერალთა ე. წ. „კავკასიური ჯგუფი". ამ ჯგუფის ბევრი წევრი საქართველოში გადმოასახლეს პოლონეთის ნაციონალურ-რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობის გამო. ასე, მაგალითად, 1837 წლიდან თბილისში ცხოვრობდა პოლონელი მწერალი თადეუშ ლადა-ზაბლოცკი (1813—1847 წ.), რომელიც რუსეთის მეფის ტახტს ჯოჯოხეთს უწოდებდა. ზაბლოცკი ნიკოლოზ ბარათაშვილს და მიხეილ თუმანიშვილს დამეგობრებია. უკანასკნელს უთარგმნია ზაბლოცკის ლექსი „ალაზნის ველი". თავის მხრივ, პოეტ მ. თუმანიშვილის ლექსი „ფიალა" პოლონურად თარგმნა ლადა ზაბლოცკიმ. მასვე ეკუთვნის „ნარკვევები ქართული მწერლობის შესახებ". 20 წელი გაატარა თბილისში პოლონელმა ლეონ იანიშევსკიმ (1810—1861 წწ.) და შექმნა ლექსი „ვისაც მოველი". საქართველოში მოღვაწეობდნენ აგრეთვე პოლონელი მწერლები მიხეილ ანჯეიკოვიჩი, ვლადისლავ სტელნიცკი, მატე რადეცკი და სხვ.

ჩვენი მკითხველისათვის შესაძლებელია უცნობი იყოს, რომ კრაკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულია 11 ქართული ხელნაწერი, რომლებიც შეძენილი არის მუზეუმის ფუძემდებლის ჩარტორისკის მიერ. ეს ხელნაწერები აღწერილია პროფ. ალ. ცაგარლისა (1844—1929) და თანამედროვე პოლონელი ქართველოლოგის იან ბრაუნის მიერ. სხვათა შორის, იან ბრაუნმა ქართული ენა შეისწავლა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს ა. შანიძის ხელმძღვანელობით და ამჟამად მუშაობს ვარშავის აღმოსავლეთის ინსტიტუტში. აქვე დავძენთ, რომ ვარშავისა და პოლონეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში სწავლა-განათლება მიუღია არაერთ ქართველს. ზოგი მათგანი ახლაც წარმატებით ეწევა მუშაობას ქართულ უმაღლეს სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. გამოჩენილი ელინისტი, ანტიკური ლიტერატურის მკვლევარი გრიგოლ ფილიმონის-ძე წერეთელი ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე ლექციებს კითხულობდა ვარშავის უნივერსიტეტში.

ზედმეტი იქნება ვილაპარაკოთ იმ პოპულარიზაციაზე, რომელსაც პოლონურ მწერლობას უწევენ ქართველი საბჭოთა მწერლები. არაერთხელ გამოიცა ქართულად ადამ მიცკევიჩი და სხვა პოლონელი მწერლები. ქართულად ცალკე გამოცემული მიცკევიჩის „კონრად ვალენროდი". მ. ახალაძის თარგმანით ქართულად გამოიცა „პოლონური მოთხრობები". პოლონელი მწერლის ბრუნო იასენსკის რომანი—„მე ვწვავ პარიზს" ქართულად თარგმნა მწერალმა ს. თავაძემ. პოეტმა რევაზ მარგიანმა გადმოიღო თანამედროვე, აწ განსვენებული პოეტის იულიამ ტუვიმის „მხიარული ლექსები". ადამ მიცკევიჩის ლექსები ქართულად თარგმნეს თანამედროვე საბჭოთა პოეტებმა. ქართული კალმისა და ხელოვნების ოსტატებს ბევრი მეგობარი ჰყავს პოლონეთში. ამ მეგობრობის საწინდარი გახდა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც პოლონელებს რუსთაველის გენიალურმა ვეფხის ტყაოსანმა შეაყვარა.

კრაკოვის აკადემიაში დაცულია კაზიმირ ლაფჩინსკის (1823—1899) მიერ პოლონურად თარგმნილი „ვეფხის ტყაოსნის" ხელნაწერი (იხ. აკად. ა. შანიძის წერილი გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში". 1950 წ. № 12). კაზიმირ ლაფჩინსკი იყო საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი ინჟინერი. სხვათა შორის მას ეკუთვნის „მოგონებები საქართველოზე", „ქართული ანდაზების კრებული" და „თბილისიდან არარატამდე მოგზაურობის წიგნი". ლაფჩინსკის გიორგი ერისთავის დახმარებით პოლონურად გადაუღია შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი" (დაიბეჭდა „ბიბლიოთეკა ვარშავსკაში". 1863 წელი, ტ. 4). იმდენი თქმულა ამ თარგმანზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (პროფ. მ. ზანდუკელი, შ. რადიანი, დ. გამეზარდაშვილი, გ. იმედაშვილი, ა. გაჩეჩილაძე), რომ გაძნელდება საგაზეთო სტატიაში სიტყვა გავაგრძელოთ მასზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ ლაფჩინსკის დიდად მოსწონებია რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი". იგი მას უწოდებს „უპირველეს პოემას", რომელიც „შეიქმნა ჩვენი (ე. ი. ქართველებისა და პოლონელების)—მეგობრობის „გირაოთაო" მართლაც, შოთა რუსთაველი მუდამ ეხმაურებოდა „ყველაზე მშვენიერ საქმეს დედამიწაზე—ხალხთა ურთიერთ დაახლოებას". (გაზ. „პრავდა").

კაზიმირ ლაფჩინსკიმ ვეფხის ტყაოსნის თარგმანს დაურთო მიმოხილვითი წერილი, რომელსაც შემდეგი სამახსოვრო სიტყვებით ამთავრებს:

**„გთარგმნი პოლშურს ენაზედ, ჩემო ვეფხის ტყაოსანო, ჩემო ნუგეშისმცემელო, გაპოლიაკებულო, გამოდი ქვეყანაში! მე დიდად მსურს, რომ რამდენიმე გული მხურვალე პოლიაკისა შეარყიო და შეაყვარო საქართველო".**

ჩვენც ამით დავასრულოთ. ქართველ და პოლონელ ხალხს მუდამ თბილი გრძნობები გვქონდა ერთმანეთთან. ამ გრძნობებით შეხვდა ქართველი ხალხი პოლონეთის მთავრობის დელეგაციას 1958 წლის ოქტომბერში. ახლანდელი მეგობრობის კვირეული ამ ფაქტის კიდევ ერთი ახალი გამოვლინებაა.

დოც. ტრ. რუხაძე

* დასაწყისი იხ. ჩვენი გაზ. 25/IX—1959 წ. № 21.

## გასწორება

ამ სტატიის დასაწყისში, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის 25/IX-ის ნომერში, გაპარულია კორექტორული შეცდომები: სახელდობრ, დასახელებული ნომრის მესამე გვერდზე პირველი სვეტის მესამე სტრიქონში (ქვემოდან) უნდა იკითხებოდეს 1791, ნაცვლად 1191-ისა. იმავე გვერდის მესამე სვეტში ბოლოდან მე-16 სტრიქონში ნაცვლად 1834-ისა უნდა იკითხებოდეს 1830.



სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები ბ. აგოიანი და ვ. აგაბეკოვი მუშაობენ რადიოტექნიკის ლაბორატორიაში.

ფოტო ა. გემჯიანისა.

# აქ გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა

1915 წლის 23 მაისს ქართველმა საზოგადოებამ ვაჟა-ფშაველას სალამო გაუმართა. მადლიერმა ხალხმა დაფნის გვირგვინი მიუძღვნა პოეტს წარწერით „ქართული პოეზიის არწივს". ეს ზეიმი შრომისა და სიღარიბისაგან დაქანცული არწივისათვის უკანასკნელი იყო. ვაჟა ამის შემდეგ ლოგინად ჩავარდა და თავის ძმასთან—სანდროსთან—იწვა მლეთის ქუჩაზე. სანდროს ბინის აივანი იმ მთებს გასცქეროდა, რომელთა შორის ჩარგლურა ჩამოდიოდა და თვით ჩარგალიც შეჟუჟულიყო.

ავადმყოფობის გართულებასთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველა 15 ივნისს საავადმყოფოში გადაიყვანეს, რომელიც მაშინ, პირველი მსოფლიო ომის დროს, მოთავსებული იყო ჩვენი უნივერსიტეტის შენობის მეოთხე სართულზე, მარჯვენა ფრთაზე. ეს იყო წმ. ნინოს სახელობის ლაზარეთი, რომელშიც იმდროინდელი საუკეთესო ქართველი ექიმები მუშაობდნენ.

ვაჟა-ფშაველამ ჩვენი უნივერსიტეტის შენობაში გაატარა თავისი ავადმყოფობისა და მშფოთვარე სიცოცხლის უკანასკნელი დღეები—ივნისის 15-დან ივლისის 27-მდე.

უნივერსიტეტის მეოთხე სართულის მარცხენა ფრთაში მაშინ მუზეუმები იყო მოთავსებული, მარჯვენა კი დათმობილი ჰქონდა ლაზარეთს. ვაჟასთვის ქართველმა ექიმებმა ცალკე ოთახი გამოჰყვეს, მომვლელებიც მიუჩინეს, კონსილიუმებიც ხშირად იმართებოდა. პოეტს თავსევლებოდნენ, მაგრამ ავადმყოფობამ თავისი გაიტანა და ივლისის 27-ს, საღამოს 7 საათზე ვაჟას სიცოცხლე შეწყდა.

ავადმყოფი ვაჟას სანახავად ბევრი დაიარებოდა, მაგრამ მათგან ზოგს აღარ ახსოვს, თუ, ნიშანდობლივ, რომელ ოთახში იწვა პოეტი, ზოგი მარჯვენა ფრთის აუდიტორიებს ასახელებს, ზოგი მარცხენას.

იმ ოთახის მისათითებლად, რომელშიც ვაჟა იწვა, 25 სექტემბერს უნივერსიტეტში მოვიდა ვაჟას ძმის სანდროს მეუღლე—ბარბარე პეტრიაშვილი-რაზიკაშვილისა, რომელსაც მაზლთან საქმელი მოჰქონდა და ხშირად ნახულობდა მას. როგორც ბარბარე რაზიკაშვილმა გადმოგვცა, ლაზარეთში შედიოდნენ არა მთავარი შესავლიდან (რადგან ქვედა სართულებში გიმნაზია იყო), არამედ იმ კიბიდან, უნივერსიტეტის მარჯვენა ფრთას დასავლეთიდან რომ აუყვება. შემდეგ დერეფნის გავლით მიდიოდნენ ახლანდელ მინერალოგიის მუზეუმამდე (აუდ. № 115), რომლიდანაც გადიოდა კარი ვაჟა-ფშაველასათვის განკუთვნილ ოთახში.

—როცა ამ სახლს ვუახლოვდებოდით წყნეთის ქუჩიდან (ახლა მელიქიშვილის ქუჩა,—ს. ხ.) და წინა ფასადზე მეოთხე სართულის პირველ ორ შეწეულ ფანჯარას შევხედავდით, ვიტყოდით:—აგერ ვაჟას ფანჯრებიო!—თქვა ბარბარე რაზიკაშვილმა.

იმ ოთახში, სადაც ვაჟა იწვა და გარდაიცვალა, ახლა მინერალოგიისა და კრისტალოგრაფიის ლაბორატორიაა (აუდ. № 116).

სწორედ ამ აუდიტორიაში უნდა დაიდგას ვაჟას ბიუსტი (მარცხენა ფანჯარასთან, სადაც ვაჟას საწოლი იდგა), ხოლო აუდიტორიას უნდა შეერქვას ვაჟას სახელი და გაკეთდეს მემორიალური დაფა.

აღვნიშნოთ დიდი ქართველის უკანასკნელი ადგილსამყოფელი.

აქ გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა!

დოც. ს. ხუციშვილი

# უნივერსიტეტის შრომები 71

უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა უნივერსიტეტის „შრომების" 71-ე ტომი, რომელიც მთლიანად მიძღვნილია ფილოლოგიურ მეცნიერებათა საკითხებისადმი.

„შრომების" ამ ტომში დაბეჭდილია შემდეგი გამოკვლევები: 1. მ. ანდრონიკაშვილი, ფალაურ-ქართული ლექსიკური შეხვედრები; 2. ე. ბაბუნაშვილი, სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში; 3. ალ. ბარამიძე, „გიორგი მერჩულეს" გარშემო; 4. ო. ბაქანიძე, გლებ უსპენსკი და ქართველი ხალხოსნები; 5. ნ. გოგუაძე, გრიგოლ ორბელიანის ენა; 6. ბეს. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში; 7. გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში; 8. ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის ურთიერთობისათვის; 9. ო. ურიდია, ენობრივი დაკვირვებანი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ თხზულებათა ავტოგრაფებზე; 10. ვ. ცისკარიძე, ვასილ ბარნოვის ისტორიული პროზის საკითხისათვის; 11. პ. ხუბუტია, ილია ჭავჭავაძის ლექსიკისათვის; 12. კ. ჭრელაშვილი, მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა გენეზისის საკითხისათვის ბაცბურში; 13. გ. გოლეთიანი, ნაცვალსახელი რუსულ და ქართულ ენებში; 14. თ. ჩოჩუა, სუპლეტივები და მათი ადგილი ენის ლექსიკურ შედგენილობაში; 15. ფ. ერთელიშვილი, მიმღეობის ერთი ტიპი ქართულში; 16. თ. იაკოვლევა, პუშკინი ი. ა. ნოვიკოვის ისტორიულ რომანში; 17. თ. ბუაჩიძე, ა. ს. პუშკინი ნ. ი. ნიკოლაძის შეფასებით; 18. თ. მრევლიშვილი, შემასმენლური დამოკიდებული წინადადებანი ნ. ვ. გოგოლის მხატვრულ მეტყველებაში.

შრომების ამ ტომის სარედაქციო კოლეგიაში შედიან: გ. ახვლედიანი, ა. ბარამიძე, ო. ბაქანიძე (პ/მგ. მდივანი), ვ. თოფურია, პ. კეკელიძე, დ. მგელაძე, თ. მრევლიშვილი (რედაქტორი) ვ. შადური, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა.

წიგნი შეიცავს 313 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 14 მან.

# ლაშქრობა ქსნისა და არაგვის ხეობებში

დანიშნულ დროზე უნივერსიტეტის ეზოში მოვგროვდით. მართალია, გოგონებმა ცოტა დაიგვიანეს, მაგრამ ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესია..

მანქანამ მთელი სისწრაფით გეზი საბურთალოსკენ აიღო... მივდივართ, მიგვიხარია, მაგრამ მანქანა თბილისიდან არც კი იყო გასული, რომ „შესვენებას" აკეთებს... მაგრამ ჩვენს შორის თურმე შოფრებიც ყოფილან და მათი წყალობით მანქანამ მალე „ფეხი აიდგა".

უკან რჩება თბილისი, წინ ვენახები და ბაღები იშლება...

ერთმა სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა ბანი მისცეს და არაგვის პოეტურ ხეობაში სიმღერით შევედით.

ლაშქრობის მონაწილეთა უმრავლესობა პირველად მგზავრობდა ამ ხეობაში და ყოველი ციხე-კოშკის ნანგრევისა და სოფლის დანახვა დიდ ინტერესს იწვევდა.

უკუნ ღამეში სოფ. მლეთას მივაღწიეთ. გაჭირვებით მოვძებნეთ სკოლის შენობა. გულთბილად შეგვხვდა სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი ლუბა ბურდული. ზოგი აივანზე საძილე ტომარაში შოთი პურივით გაიჭიმა, ზოგმაც მშვენიერ საწოლებზე გაშლილ ლოგინში გაატარა ღამე. გათენდა დილა. სახე მთის ცივი წყლით გავიგრილეთ. გივიმ კი არაგვის ტალღებში „კურთხევა". მიიღო და განიბანა ყოველთა ცოდვათაგან.

წასვლის დროც დადგა.

ლაშქრობის ხელმძღვანელმა დოც. ო. გიგინეიშვილმა მარშრუტი გაგვაცნო. წინ მასწავლებელი ირ. ბაქრაძე გაგვიძღვა და აღმართს შევუდექით. ბევრს ხომ ზურგჩანთაც პირველად ეკიდა და ასეთ დიდ აღმართზე მლეთიდან ლომისის უღელტეხილამდე პირველად მიდიოდა... ხალისიანი იყო პირველი ნაბიჯები... გზადაგზა ტყეში თხილმა და ცირცელმაც „შეგვიტყუა"...

ტყის ზემოთ პირველი შესვენება მოეწყო. ირაკლი ბაქრაძე და ოთარ გიგინეიშვილი გვიყვებიან არაგვის ხეობის ისტორიულ ძეგლებზე. აქედან კარგად ჩანს ის ბილიკები, წინათ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა რომ დალაშქრეს. არაგვის სათავეებთან, „მეფის კალოზე", ნისლებმა დაბლა დაიწიეს (მყინვარწვერი ხომ დილიდანვე ბურუსში იყო გახვეული და არც გვინახავს). ჯვრის უღელტეხილზე ქუფრი ღრუბლები აირია და წვიმა დაუშვა. (იქნებ თოვლიც იყო). ჩვენ შესვენება „შევამცირეთ" და კვლავ აღმართს შევყევით.

ჩვენს წინ გადაშლილ ალპურ საძოვრებს თივის ზვინები და ცხვრის ფარები ამშვენებდა, განა მათაც ჩვენსავით აშინებდა მოსალოდნელი უამინდობა?!.

იქვე წვიმა წამოგვეწია. ზურგჩანთებიდან საიერიშოები ამოვიღეთ და უღელტეხილზე გუშაგივით მდგარ ლომისისაკენ ავიღეთ გეზი. წვიმამ საკმაოდ იმატა... კიდევ რამდენიმე მეტრიც და ლომისის ეკლესიას შევაფარებთ თავს, მაგრამ უწყალო ცამ მარტო წვიმა არ გვაკმარა და თოვლის ფანტელები ფარფატით თავზე გადმოგვაყარა.

აი, ლომისიც...

მთიულებს ოდესღაც სალოცავი დაუარსებიათ, მერე ბაზილიკა აუშენებიათ და ახლაც ლოცულობენ აქ...

წვიმამ ბევრს ბეჭებშიც ჩაატანა, ფეხებზე ხომ ალარაფერი ითქმის... უღელტეხილზე ყოფნა არაფრად გვეპაშნიკებოდა. ბევრს სიცივე ტანში გასჯდომოდა და კანკალებდა. ლომისის სალოცავის დარბაზში იცინოდნენ, კისკისებდნენ, მაგრამ ვაი ამ სიცილ-კისკისს!...

ნუგზარმა აღმოჩენა მოახდინა. სადღაც სანთლის ნამწვავი იპოვა. აანთო, კედელზე მიაკრა (პირჯვრის გადაწერის გარეშე) და წინდების გაშრობას შეუდგა.

— ქალალდები მომიგროვეთ, — ცახცახებს ინეზა და ასანთს უმარჯვებს გაზეთისა და რვეულის ნახევრად სველ ფურცლებს...

გარეთ კი თოვს...

ვილაცამ დარბაზიდან დაიძახა:

— კოცონთან ვის გინდათ?!...

დარბაზში შესასვლელი კარი დავიწროვდა... თურმე ბიჭებს ცოცხის ნამტვრევები (ზოგი მთელიც კი) მოუგროვებიათ და ცეცხლი დაუნთიათ.. თუმცა კვამლი უფრო მეტი იყო, ვიდრე სითბო, მაგრამ...

— აღარც გამოიდარებს...

— როდემდე?...

— სანამ თბილისში არ დავბრუნდებით!

— რაღა ვქნათ?...

ლომისი დავტოვეთ.

— ახლა აღმართი კი არა, საშინელი დაღმართი გვაქვს ჩასასვლელი. ნაწვიმარ ფერდობზე ფეხს ძლივს ვიკიდებთ. ფერდობი უფრო ციცაბო აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა, ხოლო ბილიკი — უფრო ვიწრო...

გზიდან ძირს ვიღაც ჩაგორდა. „სასახლეს ზომავსო"—თქვა რიგოლეტომ და „სპორტული სრიალითა" და კოტრიალით მიჰყვა მას. ინეზა და ზაურიც უნებურად ჯდებიან ტალახიან ბილიკზე.

წვიმა და თოვლი ერთმანეთში აირია.

ჩვენ მთელი სისწრაფით მოვდივართ ქსნის ხეობისაკენ...

აი, მდინარე ქსანიც. ამღვრეული და შმაგი მთის წყალი. ჩვენს ზემოთ, ქსნის მარცხენა ნაპირზე, ქაჩობის ციხეა, სადაც გიორგი სააკაძემ, ამავე გზის გავლით, შიგ მოკალათებულ ყიზილბაშებს მუსრი გაავლო.

სიარულის თავი აღარავის აქვს... არაქათი გამოგვეცლია...

სოფელ ბალაანის ნახვამ ძალიან გაგვახარა. აქ ტანსაცმელიც გავიშრეთ და ღამეც გავათიეთ...

სოფელ ლარგვისამდე 9 კილომეტრიდა გვქონდა გასასვლელი, 26 კილომეტრიანი მთის ბილიკები უკან დარჩა... ბალაანის გვერდზე ხევში გამოვფხიზლდით.

როგორც კი სოფელს გამოვცდით, წვიმა კვლავ წამოგვეწია და შხაპუნა წვეთები დაგვცხო მერე თბილისამდე მოგვაცილებდა და წამითაც არ გადაუღია).

— ალბათ, ლომისი გაგვიწყრა...

ჯერ სოველი იყო და მერე წყალი დაასხესო, სწორედ ისე მოხდა. ადიდებულიყო ცხრაძმულა (ქსნის შენაკადი), ხიდი კი არ იყო გადებული.

— გავიხადოთ ფეხსაცმელები.

— თუ გინდა, ნუ გაიხდი!... შეგიძლია გადახტე...

ვინ გადახტებოდა რიყეში გაშლილ მთის წყალზე. გოგოები არც შეწუხებულან. გივის ზურგზე აღმოჩნდნენ ლამზირა და მერი, ელგუჯამაც არ ითაკილა ექსპლოატატორობა. დალი რეჯიბმა გადაიტანა; „რევიზორ" ზაურის ბეჭებს ლიას სიმძიმე დააწვა.

გზადაგზა მწიფე შვინდი და ტყემალი გვიწვევდა. მაგრამ... ლარგვისში ადრე ჩამოვედით. დავათვალიერეთ ქსნის ერისთავების მონასტერი. ზაურამ ნათესავები იპოვა, ხოლო გელამ 102 წლის ტატო ზარიძე ჩაიგდო ხელში და კალამი მოიმარჯვა.

ტატოც გულისხმიერი მოხუცი აღმოჩნდა, ლექსებად დაიღვარა გელას ქაღალდზე. საღამოს ლარგვისი დავტოვეთ. გეზი თბილისისაკენ ავიღეთ. ვიწრო, გველივით დაკლაკნილ ბილიკზე მანქანა ღმუოდა...

ძირს ქსანი ყეფდა... გარეთ კვლავ წვიმდა.

—ფანჯრები გაადეთ. ავტობუსი რომ გადაბრუნდეს, გადახტომას მოვასწრებთ,—იჭერს თადარიგს ვილენი და აქეთ-იქით ფრთხილად იყურება.

ლენინგორში უკვე ლაშქრობის დამთავრება მივულოცეთ ერთმანეთს და კვლავ სიმღერით წამოვედით თბილისისაკენ...

ჩვენი უნივერსიტეტის სახელოვანმა ტურისტულ-ალპინისტურმა სექციამ განაახლა მუშაობა. ამ სასწავლო წელს ეს ლაშქრობა სექციის პირველი ნაბიჯი იყო.

სექციას ბევრი საინტერესო ღონისძიება აქვს დაგეგმილი მომავლისათვის.

ვალერიან სულაკაური,
გიორგი საითიძე.



სურათზე ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები გ. გივიშვილი და ა. მოროზოვი (დას) ელექტროვაკუუმის ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

ფოტო ა. გემჯიანისა.



**სურათზე:** ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი მ. დელიუსტო (მარცხნივ) და ი. როსტოვსკაია ნახევრადგამტართა ლაბორატორიაში მუშაობის დროს.
ფოტო ა. გემჯიანისა.

## სასტუდენტო თემაზე

### „გაშეშებული თვალებით"

„ყველა საგანს ეშინია დროსი,
მაგრამ დროს კი ეშინია
პირამიდების"
(არაბული ანდაზა)

სადაც ამჟამად გიზეხის ვაკეა გაშლილი და პირამიდებს თავები ზეცისთვის მიუბჯენიათ, ოდესღაც ნილოსი მოედინებოდა.

ეგვიპტის პირველმა ფარაონმა მენესმა ნილოსის ეს კალაპოტი აირჩია თავისი სატახტო ქალაქის ასაშენებლად. მისი ნებით მდინარეს ახალი კალაპოტი გაეთხარა და რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გამძლე ჯებირი აუშენდა. სისხლი და ცრემლი, კვნესა და ვაება—აი, ხვედრი მაშინდელი ეგვიპტის საოცრად შრომისმოყვარე ხალხისა.

— კარგი ადგილიაო!—უთქვამს ფარაონ მენესს და კარგი ადგილი—მ ე ნ - ნ ო ფ ე რ ი ეწოდა აქ გაშენებულ ქალაქს. ბერძენ ისტორიკოსთა შრომებში მენ-ნოფერი მემფისად იწოდება. ოდესღაც იგი იყო მშვენიერი და ბრწყინვალე ქალაქი.

მოხდურებს ნანგრევებად უქცევიათ. მხოლოდ მრისხანე პირამიდები და საოცრად იშვიათი ნანგრევები დარჩენილა. ათასი წლის წინ მემფისის ნანგრევებისაგან არაბებმა ააგეს ეგვიპტის ახლანდელი დედაქალაქი ქაირო. პირამიდებს კი წარბიც ვერ შეახრევინეს.

ამჟამად, გიზეხის ვაკეზე სამოცდაათი კილომეტრის მანძილზე ეგვიპტის ფარაონთა ასამდე პირამიდა დგას. მათ შორის გრანდიოზულია ხეოპსის პირამიდა, რომელიც დღემდე ამაყად გადაჰყურებს უდაბნოს ლანდშაფტს.

ხეოპსმა სამოცდაათ წელზე მეტხანს იმეფა. მისი მეფობის ხანა იყო სასტიკი და შეუბრალებელი. შთამომავლობა წყევლა-კრულვით იხსენიებდა ფარაონს, რომელმაც სამოცდაათი წლის მანძილზე ყვლიფა ეგვიპტე, წაართვა ხალხს ყველაფერი, რისი წართმევაც შეიძლებოდა, და ბოლოს ძვლები ჩააყრევინა იმ მიწაში, რომელზეც ძეგლად დაიდგა უზარმაზარი პირამიდა.

ნათქვამია: დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ხალხს ღრმად ჩარჩა გულში ხეოპსის სასტიკი მმართველობის წლები. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე აღფრთოვანებულა ხეოპსის პირამიდით და უკითხავს მისი მფლობელის სახელი, რაზედაც, ნაცვლად პასუხისა, წყევლა გაუგონია. მეტი სიძულვილით ჰეროდოტეს ხეოპსის სახელიც არ უთხრეს.

ხეოპსის პირამიდას ორმოცდაათი ჰექტარი ფართობი უკავია, სიმაღლე ასორმოცდაექვს მეტრს უდრიდა ძველად. ჰეროდოტეს გადმოცემით, მისი აგებისათვის ოცი წელი მოუნდომებიათ. აქედან, ათ წელიწადს მარტო იმ გზას აშენებდნენ, რომლითაც ქვები უნდა ეზიდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ხეოპსის პირამიდაში შესასვლელი ძნელი მისაგნები იყო, არაბებმა მაინც მიაგნეს მას. ოთახებში დამტვრეული სარკოფაგების (ერთი ხეოპსისა, მეორე კი დედოფლისა) გარდა ვერაფერი ნახეს. როგორც ჩანს, ვიღაცას მოუსწრია გაძარცვა.

მთელი პირამიდა მოპირკეთებული ყოფილა ფერადი გრანიტით. არაბებმა ეს ქვაც აცილეს.

ხეოპსის პირამიდა დღესაც გაშეშებული თვალებით შეჰყურებს მსოფლიოს.

**ანზორ სიხარულიძე**

### პროფესორ-მასწავლებლებო და ასპირანტებო!

გახდით მუდმივი მკითხველები სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალისა—„ვესტნიკ ვისშეი შკოლი".

ჟურნალი აშუქებს უმაღლესი განათლების აქტუალურ პრობლემებს, მოგვითხრობს უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილების შესახებ საწარმოო შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

მკითხველი მასში ნახავს სტატიებს სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადების შესახებ, სამამულო პედაგოგიური აზროვნების ისტორიის საკითხებზე, შეიტყობს ახალი სასწავლო ლიტერატურის შესახებ და გაეცნობა მასალებს საზღვარგარეთული უმაღლესი სასწავლებლების შესახებ.

ჟურნალში თანამშრომლობენ გამოჩენილი მეცნიერები, უმაღლესი სკოლისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეები.

ჟურნალზე—„ვესტნიკ ვისშეი შკოლი" ხელმოწერა შეიძლება ყველა საფოსტო განყოფილებაში.

ხელისმოწერის ღირებულება — 60 მანეთი წელიწადში, 30 მანეთი 6 თვეში.

**ყურადღება!**

## ჭადრაკი

### უნივერსიტეტის პირველობაზე

დაიწყო ფინალური შეხვედრა ჭადრაკში უნივერსიტეტის 1959 წლის პირველობაზე ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 15 კაცი. გარდა ამისა, მასში კონკურსგარეშე თამაშობს ჩვენი უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი, ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილე, პირველთანრიგოსანი თინა ქორქოლაძე.

უნივერსიტეტის ეს პირველობა ამავე დროს ითვლება ქ. თბილისის პირველობის მეოთხედფინალად და აქ გამარჯვებულ ორ მოჭადრაკეს ქ. თბილისის პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მიეცემა. ამ ორ გამარჯვებულში არ შევლენ ისინი, რომლებიც პერსონალურად არიან მოწვეული ნახევარფინალში მონაწილეობისათვის ადრინდელი შედეგების მიხედვით (მ. თხელიძე, გ. არშტეინი).

შეჯიბრებაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულთათვის დაწესებულია სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

25 სექტემბერს ჩატარდა კენჭისყრა, რის შედეგადაც სატურნირო ცხრილში მოთამაშენი ასე განაწილდნენ: 1. ჯ. ბიბინეიშვილი, 2. ა. მესხია, 3. თ. ჯახუტაშვილი, 4. ო. გამყრელიძე, 5. ნ. ლობჟანიძე, 6. ა. ხელაშვილი, 7. ი. ალანაკიანი, 8. თ. ქორქოლაძე, 9. ჯ. მებონია, 10. მ. თხელიძე, 11. ა. მეგრელიშვილი, 12. გ. არშტეინი, 13. ი. ვეშაპიძე, 14. ე. ბელქანია, 15. მ. ემიშიანი, 16. ა. პოკლება.

26 სექტემბერს, **პირველ ტურში** ემიშიანმა მოუგო მესხიას, ჯახუტაშვილმა—ბელქანიას, არშტეინმა — ლობჟანიძეს, ხელაშვილმა—მეგრელიშვილს, მებონიამ—ქორქოლაძეს; ყაიმით დამთავრდა ალანაკიან-თხელიძისა და გამყრელიძე-ვეშაპიძის შეხვედრები; ბიბინეიშვილ-პოკლებას პარტია არ შემდგარა.

**მეორე ტურში** მესხიამ დაამარცხა ბიბინეიშვილი, ბელქანიამ—გამყრელიძე, ლობჟანიძემ—ვეშაპიძე, მეგრელიშვილმა—ალანაკიანი, თხელიძემ—ქორქოლაძე, მებონიამ—პოკლება. არშტეინ-ხელაშვილისა და ემიშიან-ჯახუტაშვილის პარტიები გადაიდო.

**მესამე ტურში** გამყრელიძემ მოუგო ემიშიანს, ბელქანიამ—ლობჟანიძეს, ხელაშვილმა—ვეშაპიძეს, თხელიძემ—მებონიას. ჯახუტაშვილ-ბიბინეიშვილის, მესხია-პოკლებასა და ქორქოლაძე-მეგრელიშვილის პარტიები გადაიდო. ალანაკიან-არშტეინის პარტია არ შემდგარა.

გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშების დღეს ბიბინეიშვილმა მოუგო პოკლებას, ჯახუტაშვილმა—ემიშიანს, მესხიამ—პოკლებას, მეგრელიშვილმა—ქორქოლაძეს; ყაიმით დამთავრდა არშტეინ-ხელაშვილის პარტია.

**მეოთხე ტურში** ვეშაპიძემ მოუგო ალანაკიანს, მესხიამ—ჯახუტაშვილს, ლობჟანიძემ—ემიშიანს, ხელაშვილმა—ბელქანიას, თხელიძემ—პოკლებას; ყაიმით დამთავრდა მეგრელიშვილ-მებონიას პარტია. გამყრელიძე-ბიბინეიშვილის პარტია გადაიდო თეთრებისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. არ შემდგარა არშტეინ-ქორქოლაძის პარტია.

ოთხი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობენ ა. ხელაშვილი და მ. თხელიძე, რომელთაც $3^1/_2$ ქულა აქვთ თვითეულს; ა. მესხიას 3 ქულა აქვს.

დღეს შედგება მეხუთე ტური.

## სპორტის ამბები

### შეხვედრა უძლიერეს ტანმოვარჯიშეებთან

საზეიმო განწყობილება სუფევს ჩვენი უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში. რა ხდება აქ?

მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს ჩვენს საყვარელ ქალაქში ჩატარდება საბჭოთა კავშირის 1959 წლის თასის გათამაშება ტანვარჯიშში მამაკაცთა შორის, უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეები შეხვედრას უწყობენ ამ შეჯიბრების მონაწილეებს.

თბილისელები მუდამ გამოირჩეოდნენ თავიანთი სტუმართმოყვარეობით. კარგი მასპინძლები აღმოჩნდნენ უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეებიც.

სტუმრებს ყვავილები მიართვეს და მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ამხ. კ. ზაუტაშვილმა, სტუდენტმა სპორტსმენებმა მ. ნინოშვილმა და ნ. სალაძემ.



სასიამოვნო სანახავი იყო ეს მეგობრული შეხვედრა. დაიწყო საჩვენებელი გამოსვლები. მასში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტმა ტანმოვარჯიშეებმა, სპორტის ოსტატებმა: რ. პერტენავამ, ნ. ფრიდონიშვილმა, მ. ნინოშვილმა, ვ. შიროკაიამ და სხვებმა.

გამოვიდნენ ძვირფასი სტუმრებიც. მსოფლიოს ჩემპიონმა პავლე სტოლბოვმა შეასრულა ვარჯიში ორძელზე. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, როცა ბ. ტკაჩოვი გამოვიდა. იგი მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეა და მსოფლიოს ჩემპიონი ნებისმიერ ვარჯიშში.



მაყურებლები მოხიბლა ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ.

ორძელზე ვარჯიში შეასრულა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის" თასის მფლობელმა, სპორტის ოსტატმა ნ. როგაჩოვმა.



შემდეგ სტუმრებს აჩვენეს კინოფილმი „24 საათი თბილისში", რომელიც ჩვენმა სტუდენტებმა გადაიღეს.

დასასრულ სპორტული ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნ. მირონოვმა თავის აღზრდილთა სახელით დიდი მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის სპორტსმენებს გულთბილი შეხვედრისათვის.

ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს მეგობარ ტანმოვარჯიშეებს მომავალ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის თასზე.

**ნ. ქასრელიშვილი**

**სურათებზე:** (ზემოდან ქვემოთ) 1. სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. სტოლბოვი ასრულებს ვარჯიშს ორძელზე; 2. ჩვენი უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი მზია ნინოშვილი ასრულებს ნებისმიერ ვარჯიშს; 3. ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნ. მირონოვი ესალმება უნივერსიტეტის სპორტულ კოლექტივს.
ფოტო ა. გემჯიანისა.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 2000. უე 03782.